

საინფორმაციო ბიულეტენი

ივნისი, 2024



საქართველო, წინ ევროპისკენ!

DRI-ის საქმიანობა ივნისში

- რა ხდება აფხაზეთში თბილისში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის ფონზე?
- როგორი იქნება სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პარლამენტი მომავალი ხუთი წლის განმავლობაში?
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საბიუჯეტო და ადამიანურ რესურსებს არარაციონალურად ხარჯავს
- როგორ ჩატარდა არალეგიტიმური ხმის მიცემის პროცესი სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონში?
- DRI: ძალადობრივი ჯგუფების დანაშაულებრივ ქმედებებზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოველწლიური ანგარიში თავს არიდებს რუსეთის საფრთხედ მოხსენიებას
- ვიტალი კარბაიას საქმე: ეთნიკური დისკრიმინაციის მორიგი ინსტიტუციური დადასტურება ოკუპირებულ აფხაზეთში
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და საქართველო: მიღწევები და ხელიდან გაშვებული შესაძლებლობები

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ვის ეშინია დემოკრატიის სოხუმსა და თბილისში?

6 ივნისს, DRI-მ დისკუსია გამართა თემაზე: “ვის ეშინია დემოკრატიის სოხუმსა და თბილისში?” დისკუსიაზე იმსჯელეს “რუსული კანონის” გავლენებზე თბილისსა და სოხუმში და არსებულ გამოწვევებზე.

DRI ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებ პირებს სთავაზობს უფასო იურიდიულ დახმარებას

ცხელი ხაზი :

511 331 228

